

ახალციხის რაიონში  
ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების  
კომპლექსური ტექნიკური ანგარიში  
(ძეგლი IV-238, სოფელი ივლიტა, 231-ე კმ)

ავტორები  
ირინე დამბაშიძე, გიორგი მინდიაშვილი

მომზადდა  
საქართველოს ეროვნული მუზეუმის  
ოთარ ლორთქიფანიძის  
არქეოლოგიის ცენტრი  
უზნაძის ქ. №14  
0102 თბილისი, საქართველო

გადაეცა  
**BTC/SCP** მიღსადენების კომპანიას  
საბურთალოს ქ. №38  
თბილისი, საქართველო

სამუშაო შესრულდა კონტრაქტების საფუძველზე  
**C-06-BTC-116628**  
**C-06-SCP-116630**  
**HL-242**

2007

## სარჩევი

მოკლე მიმოხილვა .....	3
1.0 შესავალი .....	4
2.0 გარემო ფონი .....	5
2.1 ძეგლის მდებარეობა და აღწერა .....	5
2.2 წარსული გარემო .....	6
2.3 მიწის გამოყენების ისტორია .....	7
3.0 კულტურულ ფონი .....	8
3.1 პრეისტორიული და ისტორიული კონტექსტი .....	8
3.2 წარსულში ჩატარებული კვლევების მიმოხილვა .....	16
4.0 მეთოდოლოგია .....	17
4.1 საველე მეთოდები .....	17
4.2. ლაბორატორიული მეთოდები .....	17
5.0 შედეგები .....	18
5.1 ძირითადი მონაცემების მოლკე მიმოხილვა .....	18
5.2 ძეგლები .....	19
5.3 არტეფაქტები .....	20
6.0 ინტერპრეტაცია .....	23
7.0 დასკვნები და რეკომენდაციები .....	25
8.0 ბიბლიოგრაფია .....	26
<b>დანართების სია</b>	
დანართი A არტეფაქტების ნუსხა .....	29

## ტაბულების სია

ტაბულა I საქართველოში ძეგლის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა .....	
ტაბულა II აკვედუკის გენერალური გეგმა და ჭრილები .....	
ტაბულა III ძეგლზე მოპოვებული არტეფაქტები .....	

## მოკლე მიმოხილვა

ეს ანგარიში წარმოადგენს BTC მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარებული არქეოლოგიური გამოკვლევების შედეგებს. კვლევა ჩატარდა IV-238 ძეგლზე, რომელიც მილსადენების 231-ე კმ-ზე, სოფელ ივლიტასთან, ახალციხის რაიონში, სამცხის რეგიონში მდებარეობდა.

კვლევა მიზანად ისახავდა მონაცემების ამოღებას და ფიქსაციას. საველე და ლაბორატორიული სამუშაოები ჩატარდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის ბორჯომის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ირინე ლამბაშიძის ხელმძღვანელობით, 2004 წელს.

ძეგლი IV-238 წარმოადგენს გვიანი შუა საუკუნეების აკვედუკს, რომელიც სასმელი წყლით ამარაგებდა ახალციხის რაბათსა და ციტადელს. სადაზვერვო თხრილებით შესწავლილი იქნა 82 მ<sup>2</sup> ფართობი. გამოვლინდა 6.5 მ სიგრძის, 2 მ სიგანისა და 2.5 მ სიმაღლის კედელი, რომელიც ლილვისებური ყრილის სახით შემორჩა და ფლეთილი ქვებითა და ტალახით იყო ნაგები.

ძეგლზე სულ მოპოვებული იქნა 41 არტეფაქტი. აქედან 38 აკვედუკის მილების ფრაგმენტები, ერთი დუღაბის ფრაგმენტი, რომელიც თიხის მილის ნატეხს შეიცავდა, ერთი თიხის ხელადის ფრაგმენტი, ერთი მონაცრისფრო ბაზალტის ქვისგან ნაკვეთი კარნიზის ფრაგმენტი, რომელიც ცალი მხრიდან შემკული იყო ირიბად ამოკვეთილი რელიეფური კანელურებით და მცენარეული მოტივით. ეს არქიტექტურული დეტალი გაცილებით ადრინდელ ნაგებობას, შესაძლოა ეკლესიას, ეკუთვნოდეს და ხელმეორედ აკვედუკის ქვის წყობაში უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

აკვედუკი ნაგობსადენის დერეფანს მოედ სიგანეზე კვეთდა. მილსადენის მარშრუტის შეცვლა კი ვერ ხერხდებოდა. ამიტომ არქეოლოგებისა და მშენებლების შეთანხმების შედეგად აკვედუკის ქვეშ გაითხარა გვირაბი, რომელშიც ნავთობსადენი იქნა გატარებული.

## 1.0 შესავალი

### კვლევის მიზანი

პროექტის მიზანი იყო სამცხეში, ახალციხის რაიონში, სოფელ ივლიტასთან (ქ. ახალციხის მახლობლად), მიღსადების 231-ე კმ-ზე მდებარე IV-238 ქართულ არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩატარება მისი ხასიათის და გავრცელების არეალის დასადგენად. კვლევამ გამოავლინა გვიანი შუა საუკუნეების აკვედუკის ნაშთი. ვინაიდან მისთვის გვერდის ავლა შეუძლებელი გახდა, ძეგლის გადასარჩენად მშენელებს მიეცათ რეკომენდაცია, რომ მიღსადენი აკვედუკის ქვეშ გატარებულიყო.

### პროექტის დამფინანსებელი

საველე და ლაბორატორიული სამუშაოები დააფინანსა BTC/SCP მიღსადენების კომპანიამ.

### ნებართვები და კონტრაქტები

ნებართვა №3, ფორმა №1 გაიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული არქეოლოგიური კომისიის მიერ ირინე ლამბაშიძის სახელზე, ბორჯომი-ახალციხის რაიონებში, ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მიღსადენის მშენებლობის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩასატარებლად.

აღნიშნული სამუშაოებთი მიმდინარეობდა შემდეგი კონტრაქტების საფუძველზე: C-06-BTC-116628, C-06-SCP-116630, HL-242.

### სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული არქეოლოგიური კომისია უფლებამოსილი იყო ნებართვა გაეცა ყველანაირი არქეოლოგიური სამუშაოების წარმოებაზე საქართველოს ტერიტორიაზე. არქეოლოგიური სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო არქეოლოგიური კომისიის მოთხოვნების შესაბამისად.

### გათხრების თარიღი

სოფელ ივლიტასთან არქეოლოგიური გათხრები იწარმოებოდა 2004 წლის 13-დან 17 აპრილამდე.

### პროექტში მონაწილე მირითადი პერსონალი

ხელმძღვანელი - ირინე ლამბაშიძე

არქეოლოგი - გიორგი მინდიაშვილი

არქიტექტორი - ნინო ოქრუაშვილი

ასისტენტი - ეკა ჯანდიერი

### მასალის შენახვის ადგილი

ძეგლ IV-238-ზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა და მასთან დაკავშირებული საველე თუ ლაბორატორიული ანგარიშები ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრში, უზნაძის 14, 0102 თბილისი, საქართველო ტელ. 995 32 952920 საბოლოოდ არქეოლოგიური არტეფაქტები დაცული იქნება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ახალციხის ფილიალში.

## 2.0 გარემო ფონი

ახალციხის რაიონი ისტორიული სამცხის პროვინციის ნაწილია. იგი მდებარეობს ახალციხის ქაბულში და მოიცავს მტკვრის ხეობას მუსხიდან აწყურამდე და ფოცხვის ხეობას ქვაბლიანის შესართავს ქვემოთ. ჩრდილოეთიდან რაიონს საზღვრავს მესხეთის ქედი, სამხრეთიდან – ერუშეთის ქედი.

რაიონის ტერიტორიის დიდი ნაწილი აგებულია ოლიგოცენური ასაკის ქვიშაქვებითა და თიხებით, მცირე ნაწილი (ერუშეთის ქედის კალთები) – ეოცენური ტუფ-ბრექჩიებით, ტუფებითა და ანდეზიტებით. რელიეფი რთულია და მოიცავს მოვაკებულ ტერასებს, მერიდიანულ ხეობებს, მცირე ქვაბულებსა და კულკანურ მთებს.

ახალციხის რაიონის უმეტეს ნაწილში მთიანეთის სტეპების ჰავაა. ზამთარი ცივია და მცირეთოვლიანი, ზაფხული – ხანგრძლივი და თბილი. ახალციხის ქვაბულის ძირზე იანგრის საშუალო ტემპერატურა -3,8°C, აგვისტოს +20,5°C. ნალექები აქ წელიწადში 520 მმ-ს არ აღემატება, მთიან ზონაში კი 1200 მმ-დე აღწევს.

მცენარეული საფარიდან რაიონში გაბატონებულია კლდის ქსეროფიტული ბუჩქები და ნახევარბუჩქები (ლია, გლერძა, ზღარბა), აგრეთვე ქსეროფიტული მრავალწლიანი ბალახებულობა. მთის ტყის ქედი ზონაში გავრცელებულია მუხა და რცხილა, ზედა ზონაში – ნაძვი და სოჭი.

ცხოველთა სამყაროდან გვხვდება ირემი, შველი, არჩვი, გარეული ღორი, წავი, ჭრელტყავა, ფოცხვერი, გარეული კაბა, დათვი, მგელი, მელა, მაჩვი, კვერნა, ღელოფალა, კურდღლი, ციუვი, წყლის მემინდვრია, ტყის თაგვი. ბევრია გარეული მტრედი, ქედანი, გვრიტი, ყვავი, კაჭკაჭი, შოშია, მწყერი. მდინარეში არის კალმახი, წვერა, მურწა, ხრამული.

## 2.1 ძეგლის მდებარეობა და აღწერა

აკვედუკი მდებარეობს ქალაქ ახალციხიდან 3 კმ-ით ჩრდილო-დასავლეთით, სოფლებს ივლიტასა და წყურუთს შორის, ახალციხის რაიონში, ზღვის დონიდან 1098 მ სიმაღლეზე. ის აგებული ყოფილა მდინარე ფოცხვის მარცხენა ნაპირზე, ხელოვნური ფიკვის ტყით დაფარული ქედის თხემზე, უნაგირისებურად დადაბლებულ ნაწილზე. აკვედუკი გადაჭიმულია 180 მ სოგრძეზე ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ.

## 2.2 წარსული გარემო

უძველესი დასახლება საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილია დმანისში, სადაც ოლდუგაის ეპოქის (1,8 მილიონი წლის წინ) ქვის ინგენტარსა და ფაუნისტურ მასალასთან ერთად ჰომინიდების ნაშთებიცაა მიკვლეული. ასევეა აღსანიშნავი სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ჯერჯერობით ერთადერთი ადრეაშელური ძეგლი – ახალქალაქის ამირანისგორა, რომელსაც ქრონოლოგიურად მოჰყვება ქვის ხანის სხვადასხვა პერიოდის ასობით ძეგლი (ძ. გაბუნია, ა. ვეკუა, 2005, გვ. 5). ამ ძეგლებზე მიკვლეულ ანთროპოლოგიურ და პალეონტოლოგიურ მასალებს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში მეოთხეული პერიოდის (პლეიისტოცენიდან ადრე პოლოცენის ჩათვლით) ბუნებრივი გარემოს ფორმირების პროცესის შესასწავლად.

მინდელის ეპოქის დასაწყისამდე (0,6-0,7 მილიონი წლის წინ) დღეგანდელი საქრთველოს ტერიტორიაზე იყო ზომიერად თბილი ჰავა და სავანის ტიპის ლანდშაფტი. ჰავის მკვეთრ გაუარესებას ადგილი ჰქონდა მინდელის ეპოქის დასაწყისში. ეს მოვლენა საქართველოს ტერიტორიასაც შეეხო, თუმცა მისი სამხრეთული მდებარეობის გამო აციებას არ ჰქონია დიდი მასშტაბი. ამის შემდეგ იწყება მინდელ-რისის თბილი ეპოქა, რომელსაც დედამიწის ისტორიაში ყველაზე დიდი – რისული გამყინვარება ცვლის. რისის გამყინვარებას ენაცვლება რისი-ვიურმის გამყინვარებათა შორისეული თბილი ეპოქა, რომლის ასაკი 120-70 ათასი წლის წინანდელი დროითაა განსაზღვრული.

დაახლოებით 70 ათასი წლის წინ დაიწყო ძლიერი აციება, რამაც განაპირობა ვიურმული გამყინვარება. ამ გამყინვარებამ დიდი გავლენა მოახდინა ქვის ხანის ადამიანის განსახლებაზე. მკაცრი აციების გამო ადამიანი ტოვებს საშუალო და მაღალმთიან მხარეებს და მათ მხოლოდ ზაფხულის თბილ სეზონში იყენებს, ძირითადად სანადიროდ. ამ ეპოქაში ადამიანს მუდმივ საცხოვრებლად გამოყენებული ჰქონდა მხოლოდ საქართველოს ბარი.

ძველი ქვის ხანიდან ახალი ქვის ხანისაკენ გადასვლა მოხდა ზედაპლეისტოცენიდან პოლოცენისაკენ გარდამავალ ეტაპზე (დაახლოებით 10-12 ათასი წლის წინ). ამ დროს მკვეთრად შეიცვალა ჰავა, რაც საგრძნობ დათბობაში გამოიხატა.

მეზოლითში ადამიანი კვლავ დაუბრუნდა მაღალმთიან რაიონებს, რომელიც წინა, ვიურმული გამყინვარების დროს მიატოვა. აქედან მოყოლებული ადამიანი საქართველოს ტერიტორიის ყველა ლანდშაფტზე სარტყელს ითვისებს საცხოვრებლად. ეს იმაზე მიუთითებს, რომ გამყინვარების მომდევნო ხანაში (პოლოცენში) ბუნებრივ გარემოს არსებითი ცვლილებები არ განუცდია (საქართველოს არქეოლოგია, 1991, გვ. 52-69).

პლეიისტოცენური ფაუნისა და ფლორის მონაცემებზე დაყრდნობით, გარკვეულ დონემდე შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიაზე პალეოკოლოგიური სურათის რეკონსტრუქცია. ადრე პლეიისტოცენიდან ადრე პოლოცენიამდე კლიმატური პირობები მკვეთრად არ შეცვლილა. ჰავა იყო ზომიერად მშრალი და თბილი (გაბუნია, ვეკუა, 1997, გვ. 13-15). აღმოსავლეთ საქართველოს რელიეფი დრმა ხეობებით დანაწევრებული საშუალო სიმაღლის მთაგორიანი მასივებით ხასიათდებოდა. მცენარეთა ნამარხი ნაშთების შესწავლით დადგინდა, რომ იმ დროის აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ტყეებში ხარობდა თბილი და ზომიერად ტენიანი ჰავის მოყვარული ჯიშები – მუხა, ტირიფი, ძელქვა, ვერხვი, არყი, თხილი და სხვა (გაბუნია, ვეკუა, 1978, გვ. 3-56). ნამარხი ძუძუმწოვრების მცლოვანი მასალის კვლევის შედეგად დადასტურდა ცხოველთა შემდეგი სახეობები: ენოტისებრი ძაღლი, აფთარი, ფოცხვერი, ხმალკბილა ვეფხვი, მაჩვზღარბა, მასტოდონტი, გიგანტური დანამა, მარტორქა, სპილო, გაშლილრქიანი ირემი, შველი, რქაგრეხილი ანგილოპა, ურქო ძროხა, ფრინგელებიდან – სირაქლემა და სხვა (გაბუნია, ვეკუა 1997, გვ. 10-11).

აკვედუკის მიმდებარე ტერიტორიაზე არ ჩატარებულა პალინოლოგიური და პალეობოტანიკური კვლევები, ამდენად დაზუსტებული ინფორმაცია გარემოში მომხდარი ცვლილებების შესახებ არ გაგვაჩნია. ძველი წყალსადენი, რომლისათვისაც აგებული იყო აკვედუკი, კვეთს ხელოვნურად გაშენებულ ფიჭვის ტყეს. XX საუკუნის მეორე ნახევარში მთელ ახალციხის რაიონში მიმდინარეობდა ამგვარი ხელოვნური ტყეების გაშენება.

## 2.3 მიწის გამოყენების ისტორია

აკვედუკის მიმდებარე ტერიტორია გამოყენებულია სოფელ ივლიტას მოსახლეობის მიერ სახნავ-სათესებად. აქ მხოლოდ ერთწლიანი კულტურები მოჰყავთ. უშუალოდ მთის თხემი, რომელზეც აკვედუკია აშენებული, სასოფლო სამეურნეო სამუშაოებისათვის გამოუსადეგარია. სამცხის ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 254 496 ჰექტარს, რაც მთელი საქართველოს 3,4%-ია. აღნიშნული ფართობიდან 1975 წელს სახნავს ეკავა 18401 ჰა., მრავალწლიან ნარგავებს – 3579 ჰა., ტყეს და ბუჩქნარს – 92271 ჰა., სათიბსა და საძოვარს – 74914 ჰა., საკარმილო ნაკვეთებს - 4045 ჰა. დანარჩენ ფართობს სოფლის მეურნეობაში გამოუყენებული მიწები შეადგენდა.

### 3.0 პულტურული ფონი

#### 3.1 პრეისტორიული და ისტორიული კონტექსტი

##### ქედა პალეოლითი (2 000 000 – 100 000 წლის წინ)

ქედა პალეოლითი გეოლოგიურად პლეიისტოცენის ადრეულ საფეხურს შეესაბამება. ამ დროს გაჩნდა აგებულების მხრივ თანამედროვე ადამიანი. გვარის Homo (Homo erectus) პირველი წარმომადგენლები ცხოვრობდნენ მცირე ჯგუფებად და იკვებებოდნენ საცხოვრებლის გარშემო არსებული ბუნებრივი რესურსებით. ამ პერიოდის ობიექტი საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილია დმანისში. აქ ქვის ინვენტარსა და პლიოცენის ფაუნის ნაშთებთან ერთად მიკვლეულია Homo erectus-ის ნაშთები, რომლებიც უძველესია აფრიკის კონტინენტის გარეთ აღმოჩენილთა შორის. ისინი, იორდანეს ველის უბდაისას ობიექტთან ერთად, გვიჩვენებს ძველი პომინიდების მიგრაციის გზას აფრიკის გარეთ.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს 16 უბანი, სადაც აღნიშნული პერიოდით ან უფრო გვიანდელი დროით დათარიდებული აშელური ტიპის ქვის იარაღების კომპლექსია აღმოჩენილი. აქედან ორი უბანი მდებარეობს ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მილსადენის დერეფნის მიმდებარე ტერიტორიაზე.

##### შუა პალეოლითი (100 000 – 35 000 წლის წინ)

ეს პერიოდი ემთხვევა უძველესი Homo sapiens-ის, ნეანდერტალელი ადამიანის წარმოშობას. ევროპაში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ადამიანის ისტორიის ამ პერიოდის გვიანი ეტაპი გამოირჩევა ე.წ. მუსტიეს ქვის იარაღების კულტურით, რომელიც აშელურთან შედარებით, უფრო უკეთ დამუშავებული და უფრო მრავალფეროვანი ფორმის იარაღებითაა წარმოდგენილი. ისევე, როგორც ჩრდილოეთ ევროპამ, საქართველომაც ამ პერიოდის ძირითადი დრო გლაციურ და პერი-გლაციურ გარემოში გაატარა.

საქართველოში მუსტიეს ქვის იარაღების 75-ზე მეტი ადგილსამყოფელია გახსნილი. ამათგან შეიძიო ნაპოვნია სამხრეთ საქართველოში, პროექტის სივრცის ძირითად რაიონში.

##### ზედა პალეოლითი (35 000 – 14 000 წლის წინ)

ზედა პალეოლითი შეესაბამება გვიან პლეიისტოცენურ პერიოდს. ამ პერიოდში ქვის იარაღების დამზადების ტექნოლოგია მკვეთრად უმჯობესდება. ზოგიერთი არქეოლოგის ვარაუდით, სხვადასხვა ადგილებში აღმოჩენილი ქვის იარაღების განსხვავებულობა მიუთითებს ამ პერიოდში კულტურულად განსხვავებული ჯგუფების არსებობაზე.

ვარაუდობენ, რომ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ადამიანს მეტყველების უნარი. ზედა პალეოლითის ადამიანები საქართველოში დაკავებული უნდა ყოფილიყნენ ჯგუფური ნადირობით. ისინი ხოცავდნენ ირემს, ბიზონს, გარეულ ცხენს, გარეულ თხას, დათვს, გამოქვაბულის ლომს, რომელთა ნაშთები დიდი რაოდენობით არის ნანახი ზედა პალეოლითის ძეგლებში. ადამიანი სახლობდა ბუნებრივ გამოქვაბულებში, კლდეების ლრმულებში, მოსანადირებელი ცხოველების ბილიკების მახლობლად.

საქართველოში აღმოჩენილი სულ ცოტა 33 მნიშვნელოვანი ზედა პალეოლითური ობიექტიდან სამი სამხრეთ საქართველოშია. არცერთი მათგანი არ არის მილსადენის დერეფნანში ან მის მახლობლად.

### **მეზოლითი (ძვ. წ. 12000 – 8000 წლები)**

მეზოლითის პერიოდის დასაწყისი განისაზღვრება პლეისტოცენის ეპოქის დასასრულითა და პოლიცენის დასაწყისით. განვლილმა ვიურმის გლაციაციამ შექმნა უფრო ზომიერი კლიმატი, რის გამოც გაჩნდა შედარებით დიდი სივრცეების ათვისების საშუალება. ნადირობა ცხოვრების ძირითად წაროდ რჩებოდა, მაგრამ ადამიანმა დაიწყო უფრო მრავალფეროვანი მსხვერპლის ძიება. ნადირობდნენ როგორც ჯოგურად, ისე განცალკევებით მცხოვრებ სხვადასხვა ზომის ცხოველებზე – ირმებზე, ცხენებზე, ცხვრებზე. ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა სეზონური მცენარეული პროდუქტების სისტემატური მოპოვება. ადამიანი გადავიდა გამოქვაბულის სივრციდან დია სივრცეების დაკავებაზე. ეს ერთნაირად ხდებოდა საქართველოში, მთელს ევროპაში და სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. ამ პერიოდის განსაკუთრებული თავისებურებაა იარაღის მასალის და იარაღის ნაირსახეობების მკვეთრი გამრავალფეროვნება. მიკროლითები (კაჟის და ობსიდიანის საჭრელები) და გაპრიალებული სამტვრევი ქვები, რომლებიც მცენარეების დასამუშავებლად გამოიყენებოდა, ამ პერიოდში ჩვეულებრივი მოვლენაა. ქვის საწაფები და პარპუნები მიუთითებს თევზჭერის პოპულარობაზე. ზედა პალეოლითის საზოგადოებიდან მეზოლითის საზოგადოებაზე გადასვლა მარტივად განიხილება როგორც პოლიცენის ზომიერი გარემოთი განპირობებულ მრავალფეროვან და უფრო ხელმისაწვდომ რესურსებთან შეგუების პროცესი. საქართველოში მეზოლითის 12 მნიშვნელოვანი ობიექტია ცნობილი. აქედან არცერთი არ არის მიღსადენის დერეფნის სიახლოეს.

### **ნეოლითური და ენეოლითური პერიოდები (ძვ. წ. 8000 – 3500 წლები)**

ნეოლითური პერიოდის დასაწყისი ცნობილია, როგორც რევოლუციური, რამდენადაც ამ დროს მოხდა მკვეთრი ძრები ადამიანის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ადამიანმა დაიწყო ნადირობიდან და შემგროვებლობიდან ცხოველების და მცენარეების მოშენებაზე გადასვლა და ხელი მიჰყო მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას. ამავდროულად დაიწყო მეთუნეობა დაგროვებული მცენარეული საკვების შესანახად და მოსამზადებლად. ფართოდ დაინერგა ისეთი ქვის იარაღები, როგორიცაა ხელცული, წალდი, ნამგლის ჩასართები, სასრეს-საფქვავები და თოხი, რომლებიც მიწის გასასუფთავებლად და გასაფხვიერებლად იხმარებოდა.

პალეოლითის და მეზოლითის პერიოდებისგან განსხვავებით, საქართველოს ნეოლითურ არქეოლოგიურ კომპლექსებში ძირითად ნაშთებს მეთუნეობის პროდუქციის (საკვების მოსამზადებელი და შესანახი ჭურჭლის) ნამსხვრევები წარმოადგენს, რაც საკვების დამზადების და შენახვის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

პირველი განცალკევებული ნეოლითური სახლები საქართველოს ტერიტორიაზე შედგებოდა ერთმანეთში გამაგალი მრგვალი ან ქლიფსური ოთახებისაგან. მათ აღიზით აშენებდნენ და, სავარაუდოდ, ხის ძელებით ამაგრებდნენ; ხურავდნენ ხის ტოტებით და შლამით. დასახლების ორგანიზაციის მაგალითია იმირის გორის უბანი ქვემო ქართლში (სამხრეთ საქართველო).).

ძვ. წ. VI-V ათასწლეულებში, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია მაღალგანვითარებული მიწათმოქმედების კულტურა. დადასტურებულია სხვადასხვა ჯიშის ხორბლეულის, ქერის, ფეტვის, შვრიის, აგრეთვე პარკოსნების (მუხუდო, ოსპი), ნესვის, მუაუნას და სხვათა ნაშთები. აღმოჩენილი ყურძნის წიგნები მიჩნეულია კულტურულ ვაზზე გარდამავალ ფორმად. დადასტურებულია მარტივი საირიგაციო სისტემის გამოყენებაც.

საქართველოში დაახლოებით 60 წეოლითური ძეგლია ცნობილი. უმრავლესობა დასავლეთ საქართველოშია, თუმცა მათი კონცენტრაცია აღინიშნება ქვეყნის სამხრეთ მხარეზე მცირებული გვიანი ნეოლითის (ენეოლითის) ერთი ძეგლი მდებარეობს პროექტის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალციხის რაიონში.

### **ბრინჯაოს ხანა (ძვ. წ. 3500 – 800 წლები.)**

ბრინჯაოს ხანის კულტურამ ევროპაში, ხმელთაშუაზღვისპირეთში და აზიის სამხრეთ-დასავლეთში შექმნა საზოგადოების ახალი ტიპი, რომელიც დამყარებული იყო მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებაზე, მეთუნეობისა და ბუნებრივი ლითონის დამუშავების ტექნიკურ განვითარებაზე. ეს იყო პირველი სტრატიგიკირებული საზოგადოება, რომელიც იმართებოდა სამხედრო და სასულიერო ელიტის მიერ. მათ მაღალ სოციალურ სტატუსს ასახავს ძვირფასი ქვების, ძვირფასი ლითონებისა და ბრინჯაოსაგან ოსტატურად ნაკეთი სამკაულები.

ბრინჯაოს ხანა იყოფა ადრე, შუა და გვიანბრინჯაოს პერიოდებად. საქართველოს ტერიტორიაზე ამ ეპოქის უადრესი კულტურაა მტკვარ-არაქსის კულტურა, რომელიც მოიცავს ენეოლითსა და ადრეულ ბრინჯაოს ხანას (ძვ. წ. 3500-2500 წლები). ის ხასიათდება ალიზის, ქვის ან თიხალესილი სარლასტის ნაგებობებით, მაღალგანვითარებული სამეთუნეო, მეტალურგიული საქმიანობით და ამავე დროს განვითარებული მიწათმოქმედებით და მესაქონლეობით. ამ კულტურის ნაშთები კონცენტრირებულია სამხრეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში. ის ასევე ვრცელდებოდა თანამედროვე სომხეთის, აზერბაიჯანისა და აღმოსავლეთ თურქეთის ტერიტორიაზე და უფრო სამხრეთითაც, სირია-პალესტინამდე.

სამცხეში აღმოჩენილი მტკვარ-არაქსული პერიოდის ძეგლებიდან გამოირჩევა ახალციხესთან გათხრილი ნამოსახლარი და სამაროვანი, რომელიც ამირანის გორის სახელთიაა ცნობილი. იგი დღემდე რჩება სამხრეთ კავკასიაში ადრებრინჯაოს ხანის ყველაზე მასშტაბურად შესწავლილ ქრესტომათიულ ძეგლად (ტ. ჩუბინიშვილი, 1963). 2005 წელს აწყურის მახლობლად, მილსადენის 202-ე კმ-ზე გამოვლინდა ადრეული ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, რომელიც ასევე მტკვარ-არაქსის კულტურას განეკუთვნება. ძეგლზე აღმოჩენილი არტეფაქტების მიხედვით, მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა ყოფილა.

მტკვარ-არაქსული კულტურის ნასახლარი გაითხარა ჯავახეთში სოფ. საოხეში (Isaac და სხვ., 1994). აქე იქნა გათხრილი ყორდანი, რომლის სამარხეული ინგენირი ანალოგიურია მტკვარ-არაქსული პერიოდის ქვაცხელას სამარხისა. ამდენად, იგი რეგიონში გამოვლენილი ყველაზე ადრეული ყორდანი უნდა იყოს.

აღმოჩენილი მტკვარ-არაქსული კულტურის ძეგლების მიხედვით ცხადი ხდება, რომ ადრებრინჯაოს ხანაში სამცხე, ჯავახეთი და თორი ერთნაირი ინტენსივობით არ არის ათვისებული. ამ პერიოდის ძეგლები ნაკლებია ბორჯომის და ადიგენის რაიონებში. ზოგი მკვლევარი ამას იმით ხსნის, რომ მტკვარ-არაქსული ტომები უფრო ნაკლებადტყიან, უმთავრესად კონტინენტური კლიმატის ზონას ირჩევდნენ საცხოვრებლად (ჯაფარიძე, 1976)

მტკვარ-არაქსის კულტურას ცვლის ადრეულოდანული კულტურა, რომელშიც ორი ეტაპი გამოიყოფა: მარტყოფული და ბედენური. ადრეულოდანული კულტურის ადრეული, მარტყოფული ეტაპის ყორდანი 2004 წელს გაითხარა კოდიანას მთაზე, მილსადენის დერევნის 193 კმ-ზე. (ბორჯომის არქ. ექსპედიციის 2004 წ. გათხრების ანგარიში).

შუაბრინჯაოს ხანაში გავრცელებულია ე.წ. ორიალეთის კულტურა (ძვ. წ. 2500-1500 წლები). მისი გავლენა ვრცელდებოდა დღეგანდელი საქართველოს საზღვრებს გარეთაც, სამხრეთით და აღმოსავლეთით. კულტურის სახელწოდება მოდის ორიალეთის პლატონან (სამხრეთ-ცენტრალური საქართველოს ტერიტორია, რომელსაც კვეთს მიღსადენის დერეფანი), სადაც 1930-იან წლებში არქეოლოგიურად პირველად იქნა შესწავლილი მისი ნაშთები. ორიალეთის კულტურა ხასიათდება დიდი ზომის ყორდანული სამარხებით, ბრწყინვალე სამეთუნეო ნაწარმით, ბრინჯაოს მეტალურგიითა და საუკელირო ხელოვნებით. სადღეისოდ ორიალეთის კულტურა შესწავლილია მხოლოდ სამარხეული კომპლექსების მეშვეობით. ამ კულტურის მატარებელი საზოგადოების ნამოსახლარები ჯერჯერობით უცნობია.

გვიანი ბრინჯაოს ხანაში სწრაფად მიმდინარეობს სამხრეთქართველური ტომების კონსოლიდაციის პროცესი, რომლის გამოხატულებაც იყო მონათესავე ტომების არეალში ვრცელი ტერიტორიის მომცველი ერთგვაროვანი კულტურის ჩამოყალიბება. დასავლეთ საქართველოში გვიანი ბრინჯაოს ხანაში ვითარდება კოლხური კულტურა. ძვ. წ. XIII-XII საუკუნეებში მათ საფუძველზე შეიქმნა დიდი წინასახლემწიფოებრივი გაერთიანებები – დიარხი (ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მხარე, ახლა თურქეთშია) და კოლხა (დასავლეთ საქართველო).

შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპზე (ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანები) და გვიანბრინჯაოს ხანაში სამცხე, ჯავახეთი და ოთრი განსაკუთრებით ინტენსიურად სახლდება და კულტურული წინაურდება. ამ მხარეებში გამოვლენილ გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლთაგან აღსანიშნავია: ხოფ. რველ ში (ბანისხევში) შემთხვევით აღმოჩენილი კულტურული ფენა (Известия Археологической Комиссии, 1911); ხოფ. წალვერში გათხრილი მელიოონეობის სახელოსნოს ნაშთი; აქვე, ხოფ. წალვერში გათხრილი ამავე პერიოდის რამდენიმე სამარხი; გუჯარეთის ხეობაში გათხრილი სპილენძ-ბრინჯაოს გადამამუშავებელი სახლოსნოს ნაშთები და მისთვის დამახასიათებელი თანმხლები მასალა; ხოფ. ოქლოვანში შემთხვევით მოპოვებული ბრინჯაოს ინვენტარი (კოლხური ცულები, აღმოსავლურ-ამიერკავკასიური ტიპის ცულები, ლითონის ყალიბები, ზოდები და სხვა), რომელიც განსაკუთრებული ღირებულების მასალად არის მიჩნეული (დამბაშიძე ოთ., 1967); ხოფ. გომნაში გამოვლენილი სამარვანი (ნიორაძე გ, 1943, გვ. 173). 1970-80-იან წლებში გაითხარა შუა ბრინჯაოს ხანის ორიალეთური კულტურის სამარხეული ძეგლები (ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი 1981) და გვიანბრინჯაო-ადრერეგინის ხანის ძეგლები რველ ში, ჩითახევში, კვირაცხოველ ში, ბორნიდელებში, ბერბუკებსა და მაჭარწყალ ში, ასევე ზველისა და ოქროფანა-ახჩის შუა ბრინჯას ხანის ყორდანები (გამბაშიძე, კვიჯინაძე, 1979, გვ. 55-60; 1981, გვ. 57-64; 1985, გვ. 31-36). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უდის განძი (ადიგენის რაიონი), რომელიც ტიპიური კოლხური კულტურის ბრინჯაოსა და რკინის იარაღ-საჭურველს და სხვა ნივთებს შეიცავს (ჯავახიშვილი, ჩუბინიშვილი, 1959).

### რკინის ხანა და ადრეკლასიკური პერიოდი (ძვ. წ. 800-500 წლები)

ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში ბრინჯაოს დამუშავებიდან რკინის მეტალურგიაზე გადასვლამ მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვია ეკონომიკის განვითარებაში და საზოგადოების ცხოვრებაში.

აღმოსავლეთ საქართველოში რკინის წარმოების უძველესი კერა იყო რკინის მადნებით მდიდარი ქვემო ქართლი. რკინის ხანის ძეგლები გამოვლენილია წალკისა და ბორჯომის რაიონებშიც. დასავლეთ საქართველოში რკინის

წარმოების ცენტრები დადასტურებულია როგორც შავიზღვისპირეთში, ისე შიდა რეგიონებში, საიდანაც ფართოდ ხდებოდა რკინის მაღაზის ექსპორტირება ბერძნულ პოლისებში.

ამ პერიოდს ემთხვევა ადრინდელი ქართველური გაერთიანებების დაცემა. დიაუხი ძვ. წ. IX-VIII საუკუნეთა მიჯნაზე გაანადგურა ურარტუს სამეფომ. კოლხა ძვ. წ. 720 წლის ახლოს დაეცა კიმერიელთა შემოსევის შედეგად.

### კლასიკური პერიოდი (ძვ. წ. 500-325 წლები)

აღმოსავლეთ საქართველო ამ პერიოდში აქემენიდური სპარსეთის ძლიერი პოლიტიკური და კულტურული გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამ გავლენას ადასტურებს ახალგორის განძი და ციხიაგორაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა. მიმდინარეობდა ცალკეულ ტომთა კონსოლიდაციის პროცესი, რომელშიც წამყვანი როლი მესხურ ტომებს ეკუთვნოდა. ამ პერიოდში დაფუძნდა ქალაქი მცხეთა.

დასავლეთ საქართველოში ძვ. წ. VI ს-ის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა კოლხეთის სამეფო ოავის ქალაქებით, სატაძრო ცენტრებით, განვითარებული მრავალდარგობრივი ხელოსნური წარმოებით, ფართო საერთაშორისო კონტაქტებით. ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში შავიზღვისპირეთში გაჩნდა ბერძნული ახალშენები ფაზისი (ფოთოან), გიენოსი (ოჩამჩირე), დიოსკურია (სოხუმი), რომელთაც ხელი შეუწყვეს კოლხეთის ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაფართოებასა და გადრმავებას. კოლხეთის ფართო სავაჭრო ურთიერთობები ბერძნულ სამყაროსთან დასტურდება ანტიკურ ავტორთა ცნობებით და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მონაცემებით. გაჰქონდათ ძირითადად ხე-ტყე და სელი, შემოჰქონდათ ფუფუნების საგნები – ძვირფასი ჭურჭელი, სამკაულები. აქ მიმოქცევაში იყო როგორც ბერძნული ფული, ისევე ადგილობრივ მოჭრილი მონეტები – კოლხური თეთრი. სამეფოს მთავარი საქალაქო-სატაძრო ცენტრის – ვანის გათხრებმა, რომლებიც 1947 წლიდან დღემდე მიმდინარეობს, უმდიდრესი არქეოლოგიური მასალა გამოავლინა.

### ელინისტური ხანა (ძვ. წ. 325-65 წლები)

იბერიასა და კოლხეთში ალექსანდრე მაკედონელს არ უდაშქრია. საქართველო ელინისტური ოიკუმენეს გარეთ დარჩა, მაგრამ პოლიტიკურმა, სავაჭრო-ეკონომიკურმა და კულტურულმა კონტაქტებმა ელინისტურ სამყაროსთან ქვეყნის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია.

აღმოსავლეთ საქართველოში ცალკეულ გაერთიანებებს შორის ბრძოლის შედეგად ძვ. წ. IV-III საუკუნეთა მიჯნაზე ჩამოყალიბდა იბერიის (ქართლის) სამეფო დედაქალაქით მცხეთაში. ქართული საისტორიო ტრადიცია („ქართლის ცხოვრება“) პირველ მეცნედ ფარნაგაზს ასახელებს და მასვე მიაწერს დედაქალაქის ციტადელის – არმაზციხის მშენებლობასა და არმაზის კერპის აღმართვას. ფარნაგაზს მჭიდრო კავშირი ჰქონდა სელევკიდების ელინისტურ სამეფოსთან და სახელმწიფო ორგანიზაციაც მის მსგავსად განაწესა.

ელინისტურ ხანაში საქართველოზე გადიოდა ერთ-ერთი უმთავრესი მსოფლიო სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალი, რომლის მეშვეობითაც ქვეყანაში ვრცელდებოდა ბერძნული საქონელი (კერამიკა, ტორევტიკა, გლიპტიკა და სხვა). დაინერგა ელინისტური სამონეტო სისტემა: კოლხეთში ჭრიდნენ ლისიმაქეს, ხოლო იბერიაში ალექსანდრეს სტატერების ოქროს მინაბაძებს.

ელინისტურ ხანაში აღინიშნება ურბანიზაციის პროცესის გაძლიერება და ქალაქების დაწინაურება. ამ პერიოდს ემთხვევა იბერიის დედაქალაქ მცხეთისა და კოლხეთის მთავარი სატაძრო ქალაქის – ვანის აღმავლობა. ფართოდ გავრცელდა ელინისტური სამშენებლო წესები და ნაგებობათა

ზოგიერთი ტიპი. ელინისტური გავლენა ატყვია ხელოსნობის ზოგიერთ დარგსაც – მაგალითად, საფეიქრო წარმოებაში დაინერგა ვერტიკალური საქსოვი დაზღა. გავრცელდა ბერძნულ-ელინისტური რელიგიური კულტები (განსაკუთრებით ფართოდ – დიონისესი). და რწმენა-წარმოდგენები, რაც დაკრძალვის წესებშიც აისახა – მაგალითად, სამარხებში მონეტის ჩატანება ქართვისათვის მისაცემად.

### რომაული ხანა

ძვ. წ. 65 წელს რომაულმა მხედართმთავარმა პომპეუსმა კავკასიაში ილაშქრა და სხვა ქვეყნებთან ერთად დაიმორჩილდა იბერია და კოლხეთიც. კოლხეთი იმპერიის პროვინციად იქცა. ზღვისპირა ქალაქებში (ფასისი, დიოსკურია, ტრაპეზუნტი, აფსაროსი) ახ. წ. IV საუკუნემდე რომაული გარნიზონები იდგა. იბერიამ შეინარჩუნა სამეფო ხელისუფლება. იბერიის მეფები მითრიდატე I, ფარსმან I, ფარსმან II მეტნაკლები წარმატებით იცავდნენ თავს როგორც რომისაგან, ისე პართიისაგან. ახ. წ. II საუკუნესა და III საუკუნის დასაწყისში იბერია ძლიერი სახელმწიფოა, რომელიც დამოუკიდებელ პოლიტიკას ახორციელებს.

ამ პერიოდში აღინიშნება იბერიის დედაქალაქ მცხეთის შემდგომი დაწინაურება. ახ. წ. 75 წელს რომაულების დახმარებით გაამაგრეს არმაზის ციხის გალავანი. მაღალი სამშენებლო კულტურის მაჩვენებელია კარგად შემონახული თლილი ქვებით ნაგები კამაროვანი აკლდამა. მცხეთაში. ნაპოვნი ბერძნულწარწერიანი საფლავის ქვა მოწმობს, რომ აქ III-IV საუკუნეებში არსებობდა ხუროთმოძღვართა და მხატვართა უფროსის თანამდებობა.

ახ. წ. II-III საუკუნეებით დათარიდებულ ნეკროპოლზე არმაზისხევში, მცხეთის მახლობლად, აღმოჩნდა თასი არამეული წარწერით, პართული ოქროს მონეტები და სხვა. მრავალი ამდროინდელი სამარხია სამთავროს ნეკროპოლზეც თვით მცხეთაში. აქ მოპოვებულია ბერძნულ და ებრაული ეპიგრაფიკული მასალა, მონეტები, მრავალრიცხოვანი სამკაული, ვერცხლისა და მინის ჭურჭელი და სხვა.

რომაული კულტურის და ცხოვრების წესის გავლენით საქართველოს ქალაქებში ჩნდება წყალგაყვანილობით აღჭურვილი აბანოები (არმაზისხევი, ბაგინეთი, ურბნისი, ძალისა, ბიჭვინთა, შუქეუთი. უკანასკნელ სამში გამოვლენილია მოზაიკური იატაკების ნაშთები).

### ადრეული შუა საუკუნეები (IV-X საუკუნეები)

საქართველოში შუა საუკუნეების პერიოდის დასაწყისად მიღებულია ქართლის ქრისტიანობაზე მოქცევის წელი – 326 ან 337. ქრისტიანობის დამკვიდრება აღმოსავლეთ საქართველოში უკავშირდება წმ. ნინოს, რომელმაც მოაქცია ჯერ დედოფალი ნანა, შემდეგ მეფე მირიანი და მცხეთის მთელი წარმართი მოსახლეობაც. დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ქალაქებში ამ დროს უკვე არსებობდა დიდი ქრისტიანული თემები, მაგრამ სახელმწიფო რელიგიად ეგრისის სამეფოში ის ცოტა მოგვიანებით გამოცხადდა.

V-VI საუკუნეებში საქართველოში თავისი გავლენის დასამყარებლად იბრძოდნენ ბიზანტიის იმპერია და სასანიდური ირანი. V საუკუნის II ნახევარში ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი წარმატებით უმკლავდებოდა ძლიერი მეზობლების აგრესიას. მის სახელს უკავშირდება ქალაქ თბილისის დაარსება, რომელიც მაღა ქართლის დედაქალაქი გახდა. მანვე დაარსა ქართლის საკათალიკოსო, რომლის საფუძველზეც აღმოცენდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

627 წელს ქართლზე ილაშქრა ბიზანტიის იმპერატორმა პერაკლემ. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, მან აქ რამდენიმე ეკლესია ააშენა და მათ შორის აწყურის კათედრალიც. VII საუკუნის შუახანებში საქართველო არაბებმა

დაიპყრეს. IX საუკუნეში ტაო-კლარჯეთში (ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, ახლა თურქეთში) ჩამოყალიბდა ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც სათავეში ბაგრატიონთა სამეფო ოჯახი ედგა. წმ. გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით ამ მხარეში გაშლილ დიდ სამონასტრო მოძრაობას კულტურის მძლავრი განვითარება მოჰყვა. დასავლეთ საქართველო ამ პერიოდში აფხაზთა სამეფოს შეადგენდა. 978 წელს ბაგრატ III ორივე სამეფოს მეფე გახდა, რითაც საფუძველს ჩაუყარა საქართველოს გაერთიანებას. X საუკუნის II ნახევარსა და XI საუკუნის დასაწყისში აღინიშნება არქიტექტურისა და ხელოვნების არაჩვეულებრივი აღმავლობა. ადრეულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება ახალციხის ციხის უადრესი სამშენებლო ფენა, რომელსაც IX საუკუნით ათარიღებენ (ლ. ჭილაშვილი, 1970: გვ. 107).

**განვითარებული შუა საუკუნეები (XI-XV საუკუნეები)**

XI საუკუნის I ნახევარში მეფები გიორგი I და ბაგრატ IV ცდილობდნენ საქართველოს საბოლოოდ გაერთიანებას და ბიზანტიის გავლენისგან თავის დაღწევას. 1070-იან წლებში ქვეყნის განვითარების პროცესი შეაფერხა თურქ-სელჯუკთა შემოსევამ. მაგრამ დავით IV აღმაშენებლის მეფობაში (1089-1125) საქართველო კვლავ წინსვლის გზაზე დადგა. დავითმა შემოიერთა კახეთი, რომელიც მანამდე ცალკე სამეფოს წარმოადგენდა და თბილისი, რომელიც თითქმის 400 წელი არაბებს ეკავათ. ამით დასრულდა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. დავითმა საქართველო რეგიონის უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია და რამდენიმე ბრძოლაში დაამარცხა თურქ-სელჯუკები. მის წარმატებებს ხელი შეუწყო ჯვაროსანთა აქტივობამაც ახლო აღმოსავლეთში. საქართველო ერთიან ძლიერ სახელმწიფოდ რჩებოდა დაგითის მემკვიდრეების დროსაც და თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია თამარ მეფის დროს (1178-1213). თამარის სამეფო მოიცავდა თითქმის მთელ სამხრეთ კავკასიას, ხოლო მისი გავლენა ვრცელდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაშიც და ტრაპეზუნტის იმპერიაშიც. 1235 წელს საქართველო მონღლოლებმა დაიპყრეს. ამის შემდეგ იწყება სახელმწიფო სისტემის, ეკონომიკისა და კულტურის თანდათანობითი დეგრადაცია. გიორგი IV ბრწყინვალესა (1314-1346) და ალექსანდრე I-ის (1412-1442) ცალკეულ წარმატებებს ამ პროცესის შეჩერება არ შეეძლო. 1453 წელს ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ ქვეყანა მთლიანად მუსლიმური სახელმწიფოებით აღმოჩნდა გარშემორტყმული. XV საუკუნის II ნახევარში საქართველო რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ დაიშალა.

X-XII საუკუნეებს განეკუთვნება ქალაქ ახალციხის დაფუძნება. წერილობით წყაროებში ის პირველად XII საუკუნეში იხსენიება. XII-XIV საუკუნეებს განეკუთვნება ქალაქის მფლობელების – ჯაყელების ციხე-სიმაგრე. დაახლოებით ამავე პერიოდისა უნდა იყოს ურაგმენტები, რომლებიც მოგიანებით სხვა შენობებში გამოიყენეს. ციხის ალაყაფის კარის მარცხენა ზედა კუთხეში ჩატანებულია XII საუკუნის წარწერიანი ქვა, რომელშიც იხსენიებიან აღმშენებლები – მიქელი და ბაგრატი.

### **გვიანი შუა საუკუნეები (XVI-XVIII საუკუნეები)**

გვიანი შუა საუკუნეები საქართველოში ღრმა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კრიზისის პერიოდია. სამეფო-სამთავროებად დაშლილი ქვეყანა გარეშე მტრებს ვერ უმკლავდებოდა და ხშირად ხდებოდა შემოსევების მსხვერპლი. XVI-XVIII საუკუნეებში ქართლი და კახეთი მირითადად ირანს ექვემდებარებოდა. დასავლეთ საქართველო ოსმალეთის გავლენის ქვეშ იყო. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (სამცხე-საათაბაგო) ოსმალეთმა 1570-იან წლებში პირდაპირ მიიერთა. 1628 წელს აქ ახალციხის საფაშო ჩამოყალიბდა.

ერეკლე II-ს მიერ ქართლისა და კახეთის გაერთიანებას და რამდენიმე წარმატებულ ომს 1795 წელს ირანელთა გამანადგურებელი შემოსევა მოჰყვა. ოსმალეთის მიერ სამცხის მიერთების შემდეგ ახალციხე ჯერ ლივას (პროვინციის), ხოლო 1628 წლიდან – საფაშოს ცენტრი გახდა. ამ პერიოდში ციტადელი რამდენჯერმე შეკეთდა. ქალაქში აშენდა მეჩეთი. ძველი უბნები ტერასებად იყო გაშენებული ციხის მიმდებარე ფერდობებზე და მის გარშემო. 1650-იან წლებში ქალაქი, რომელშიც სახლების უმეტესობა ხისა იყო, დიდი ხანძრის შედეგად მთლიანად გადაიწვა. XVII საუკუნის II ნახევარში ახალციხე ხელახლა გაშენდა. XVIII საუკუნეში ის ტყვეებით გაჭრობის ცენტრად იქცა.

ახალციხე მრავალეროვანი და მრავალკონფესიური ქალაქი იყო. აქ ცხოვრობდნენ ქართველები, სომხები, თურქები, ებრაელები. ქალაქში იყო კათოლიკური და სომხურ-მონოფიზიტური ეკლესიები, მეჩეთები, სინაგოგა. 1752 წელს ციტადელში აშენდა ახალი დიდი მეჩეთი და მედრესე. აქ იყო ასევე ტყვია-წამლის საწყობები, ბიბლიოთეკა, საცხოვრებელი კოშკები და სხვა.

ციტადელი (სასახლე, აბანოები და სხვა შენობები) ფერსაობის მთიდან გამომდინარე ლიკანისხევის წყაროს წყლით მარაგდებოდა, გასვლა კი მდ. ფოცხოვისკენ უნდა პქონიდა მიწისქვეშა კოლექტორების მეშვეობით. ციტადელში დღემდე შემორჩენილია ადრინდელი წყალგაყვანილობის ნაშთი. შენებლობის დროს აქა-იქ ჩნდება თიხის მილები, სარეზერვუარო, გამწმენდი და გამანაწილებელი დერგები, წყლის გადამყვანი და სარწყავი არხების ნაშთები. ახალციხის ციტადელისა და რაბათის წყალმომარაგების სისტემის ნაწილს წარმოადგენდა ჩვენს მიერ გათხრილი და შესწავლილი აკვედუკიც.

#### ახალი დრო (XIX-XX საუკუნეები)

ირანელთა 1795 წლის შემოსევამ ქვეყანა კატასტროფის პირას მიიყვანა. ამით ისარგებლა რუსეთის იმპერიამ და 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო დაიპყრო. 1810 წელს იგივე ბედი ეწია იმერეთის სამეფოს და შემდეგ გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროებსაც. 1828 წელს ოსმალეთთან მოგებული ომის შემდეგ რუსეთმა მიიღოთა სამცხე-ჯავახეთი, ხოლო 1878 წელს – აჭარა და შავშეთ-კლარჯეთი. რუსეთის გზით საქართველოში შემოვიდა ევროპული კულტურა და ცხოვრების წესი.

რუსეთის მიერ სამცხის მიერთების დროისთვის ახალციხის მოსახლეობა 10 000 სულს შეადგენდა. ქალაქი 12 უბანად იყოფოდა: ნურალიანთ უბანი, ლელოს უბანი, ჯირითმოედნის უბანი, ზემო უბანი, გუმბათის უბანი, ქართველების უბანი და სხვა (ივ. გვარამაძე, 1906, გვ. 3-4). რუსული ხელისუფლების პერიოდში ქალაქში განვითარდა გაჭრობა და ხელოსნობა. გაჩნდა ევროპული ფაიდის შენობები.

1918 წელს, რუსეთის რევოლუციების შემდეგ საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. სამცხეში მუსლიმმა სეპარატასტებმა თურქეთის წაქეზებით სცადეს ცალკე სახელმწიფო შექმნათ, მაგრამ საქართველოს დემოკრატიულმა რესუბლიკამ წარმატებით აღკვეთა ეს მცდელობა. 1921 წელს ბოლშევკიკურმა რუსეთმა კვლავ დაიპყრო საქართველო და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად აქცია.

1945 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ნაციისტური გერმანიისადმი სიმპათიების ბრალდებით ახალციხიდან და სამცხის სხვა რაიონებიდან გაასახლა მთელი მუსლიმური მოსახლეობა (ე. წ. თურქი მესხები). მათი უდიდესი ნაწილი ახლაც საქართველოს გარეთ ცხოვრობს.

1991 წელს კვლავ აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა.

### 3.2 წარსულში ჩატარებული კვლევების მიმოხილვა

სოფელ ივლიტასთან, ძეგლ IV-238 ერთი კილომეტრის რადიუსში არქეოლოგიური ძეგლი არ აღმოჩენილა.

## 4.0 მეთოდოლოგია

### 4.1 საგელე მეთოდები

პირობითი ნულოვანი წერტილი საკვლევი ტერიტორიის გარეთ იქნა აღებული. ტერიტორია  $10 \text{ м} \times 10 \text{ м}$  ზომის კვადრატებად დაიყო. გეგმაზე კვადრატები ლათინური ანბანის დიდი ასოთი და არაბული ციფრით აღინიშნა.

კულტურული ფენების დასაფიქსირებლად შესასწავლ ტერიტორიაზე გავლებული იქნა 5 სხვადასხვა ზომის სასინჯი თხრილი. ერთი თხრილი კედელზე გაკეთდა, რომელიც შიდა მხრიდან ამოიწმინდა. გათხრები ხელით მიმდინარეობდა.

გამოვლენილი ძეგლი და არტეფაქტები დაინომრა, აიზომა და ჩაიხატა. გაკეთდა ძეგლის გენერალური გეგმა და ჭრილები. მოხდა ძეგლისა და არტეფაქტების ფოტო ფიქსაცია. მასალა აიკრიფა და დაფიქსირდა დონეების მიხედვით. მოპოვებული მასალა საგელე პირობებში შეიფუთა და გაუკეთდა ეტიკეტი. ველიდან ყველა არტეფაქტი წამოღებული იქნა ლაბორატორიული დამუშავებისათვის.

### 4.2 ლაბორატორიული მეთოდები

არტეფაქტები დაჯგუფდა მასალისა და აღმოჩენის ადგილის მიხედვით. თიხის არტეფაქტები ფუნქციონირებული იყო მარილმჟავას ხსნარით გაზავებულ წყალში. რის შემდეგადაც ჩატარდა მათი სტილისტური და ტიპოლოგიური ანალიზი. არტეფაქტების ის ნაწილი, რომელიც კვლევისათვის გამოუსადეგარი აღმოჩნდა და ასევე აღირიცხა.

ყველა არტეფაქტი დაინომრა, აღიწერა და გატარდა კატალოგში, გაუკეთდა ეტიკეტი და მოთავსდა პოლიეთილენის პარქში.

დახარისხდა ციფრული ფოტოები.

საგელე და ლაბორატორიულ სამუშაოებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ელექტრონული და ნაბეჭდი ვერსიები ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ოთარ ლორთქიფანდის არქეოლოგიის ცენტრის საცავში.

## 5.0 შედეგები

### 5.1 ძირითადი მონაცემების მოკლე მიმოხილვა

საკვლევ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს ახალციხის რაიონში, სოფ. ივლიტასთან, მიღსადენის 231-ე კმ-ზე, შესწავლილია 82,4 მ<sup>2</sup> ფართობი. გავლებულია სხვადასხვა ზომის 5 სასინჯი თხრილი, აქედან №1 და №4 თხრილები – აკვედუკის მიმდებარედ, მიღსადენის დერეფანში, ძირითადი კი – ზედ აკვედუკზე.

№1 თხრილში ( $6 \times 2.4 \times 0.5$  მ) გაიწმინდა ქვების გროვა, რომელთანაც კულტურული ფენა არ დადასტურდა.

№2 თხრილი ( $4 \times 1 \times 0.5$  მ) სტერილური გამოდგა.

№3 თხრილში ზომით ( $6 \times 2 \times 0.5$  მ) კერამიკის წვრილი ნატეხები ჩნდებოდა კულტურული ფენის გარეშე. კერამიკული ნაწარმი ძირითადად მიღების ნატეხებს წარმოადგენდა.

№4 თხრილშიც, ზომით ( $4 \times 2 \times 0.7$  მ), მცირე რაოდენობით აღმოჩნდა თიხის მიღების ფრაგმენტები.

№5 ძირითადი თხრილი ( $11 \times 4$  მ) გატარდა უშუალოდ აკვედუკზე.

როგორც საინჟინრო ნაგებობის, ისე თიხის მიღების ფრაგმენტების აღმოჩენა აშკარას ხდის, რომ საქმე გვაქვს პიდროსაინჟინრო ნაგებობასთან – აკვედუკთან, რომელიც საგარაუდოდ ქალაქ ახალციხის ძველი უბნის წყალმომარაგებას ემსახურებოდა.

მოპოვებული არტეფაქტების საერთო რაოდენობაა 36 ერთეული, აქედან კერამიკული მასალა – 34, ქვა – ერთი, დუღაბის ფრაგმენტი – ერთი. ყველა არტეფაქტი ძეგლს მიეკუთვნება და ძირითადად აკვედუკის ზედაპირზე ქვის წყობაში და მასზე მიყრილ მიწაშია მოპოვებული. ამდენად, თვით ძეგლსა და კულტურულ ფენაში მოპოვებული მასალის პროცენტული შეფარდება შემთხვევით მოპოვებულთან არის 100% - 0%-თან.

### 5.2 ძეგლები

ობიექტზე ერთადერთ ძეგლს წარმოადგენს პიდროსაინჟინრო ნაგებობა – აკვედუკი. იგი აგებულია სასმელი წყლის მიღების გადასაყვანად ქედის უნაგირისებურ ჩადაბლებაში. აკვედუკის შემორჩენილი სიგრძე 180 მ-ია. ის მიმართულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ (ტაბ I). თხრილების გავლების შემდეგ დადასტურდა, რომ აკვედუკი ნაგებია ოთხეუთხა მოვანილობის ფლეთილი ქვებით, ტალახის გამოყენებით. შეიმჩნევა კირის დუღაბის გამოყენებაც. კედლის საშუალო სიგანეა 2 მ, ზედა ნაწილი შევიწროვებულია 1,5 მ ს-მდე (ტაბ I). მაქსიმალური სიმაღლეა 2,5 მ. ქვის წყობას გასამაგრებლად ორივე მხრიდან მიყრილი აქვს მიწა, რის გამოც აკვედუკს ლილვისებური შემადლების (ყრილის) სახე აქვს მიღებული. ყრილის სიგანე ძირთან 6,5 მეტრია.

აკვედუკის ნაგებობა ამოშენებულია ბრტყელი ფილებით. აღმოსავლეთის კედელი ზოგიერთ მონაკვეთში გადმოზნექილი და დეფორმირებულია. კედელი შედება 11 რიგად დაწყობილი ქვებისაგან. 1,4 მ სიმაღლეზე წყობა საფეხურს იკეთებს, რის შემდეგაც 0,5 მ სიმაღლეზე ოთხ რიგად დაწყობილი ქვის კედელი ვიწროვდება.

მიუხედავად იმისა, რომ აკვედუკზე გადატარებული წყალსადენი, მოპოვებული მიღების მიხედვით, არაერთგზის განუახლებიათ, ის არ შეიცავს განსხვავებული სტრატებს და ამდენად ერთფენიან ძეგლად უნდა ჩაითვალოს

### 5.3 არტეფაქტები

აკვედუკზე აღმოჩენილი არტეფაქტები მასალის მიხედვით სამად შეიძლება დაჯგუფდეს:

#### 1. კერამიკული არტეფაქტები

ფუნქციის მიხედვით კერამიკაში გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი – სამშენებლო და სუფრის. კერამიული მასალის 34 ნიმუშიდან 33 წყალსადენის მიღების ფრაგმენტებია. სუფრის ჭურჭელი ხელადის ერთი ნატეხით არის წარმოდგენილი.

**ტიპი:** სამშენებლო კერამიკა, მიღები (ტაბ. III: 37, 39) მოწითალო-ჩალისფრად გამომწვარი, წმინდა სილანარევი თიხისგან დამზადებული, სხვადასხვა დიამეტრისა, სადა, გლუვზედაპირიანი, შიდაპირზე ჩარხისეული წრიული დარებით, თიხის მიღების თავისა და ბოლოს ფრაგმენტები.

წარმოების ტექნიკა – დამზადებულია ჩარხის გამოყენებით, სილანარევი თიხისგან, გამომწვარია ღუმელში.

გავრცელება – აკვედუკის მაღალ ნაწილში, ზედაპირზე და მასთან ახლოს, ძირითად თხრილში.

ფუნქცია – სასმელი წყლის მილსადენის მიღები (სამშენებლო).

პერიოდი – XVII-XVIII საუკუნეები.

**ტიპი:** სუფრის კერამიკა, ხელადა – პირისა და ყელის ერთი მცირე ფრაგმენტი, სადა, გლუვი, უორნამენტო; ჩალისფერი გამოწვის.

წარმოების ტექნიკა – დამზადებულია ჩარხზე, წმინდა თიხისგან, გამომწვარია ღუმელში.

აღმოჩნდა აკვედუკის ქვის წყობაში.

პერიოდი – გვიანანტიკური (?).

#### 2. ქვითკირის არტეფაქტი

**ტიპი:** სამშენებლო, ქვითკირის დუდაბი (ტაბ. III: 2) – ნატეხი, შიგ მოხვედრილი თიხის მილის ფრაგმენტი.

დამზადებულია დამწვარი კირისა და ქვიშის გამოყენებით, მილის ნატეხი შემთხვევით არის მოხვედრილი.

აღმოჩნდა აკვედუკის ზედა ნაწილში, ქვის წყობაში.

ფუნქცია – სამშენებლო მასალა.

პერიოდი – XVII-XVIII საუკუნეები.

#### 3. ქვის არტეფაქტი

**ტიპი:** არქიტექტურული დეტალი, კარნიზი (ტაბ. III: 1) – მონაცრისფრო ბაზალტის ქვისგან დამზადებული, ერთი მხრიდან შემკულია ირიბად ამოკვეთილი კანელურებით და მცენარეული მოტივით. დამუშავებულია კვეთით.

აღმოჩნდა აკვედუკის ქვის წყობის შევსებაში, ზედაპირიდან 1.1 მ სიღრმეზე.

ფუნქცია – პირველადი: სამშენებლო, ეკლესიის (?) კარნიზის დეტალი;

მეორადი: სამშენებლო, აკვედუკის კედლის წყობის ქვა.

პერიოდი – ადრეული შუასაუკუნეები და XIV-XVI საუკუნეები.

## 6.0 ინტერპრეტაცია

სოფელ ივლიტასათან გამოვლენილი აკვედუკი წარმოადგენს ახალციხის რაბათისა და ციტადელის წყალმომარაგების სისტემის ნაწილს. მისი ფუნქციონირება დაკავშირებული ჩანს დასახლებისა და გარნიზონის სასმელი წყლით მომარაგებასთან.

აგებულებით, თიხის მილების სტრუქტურითა და სხვა გარეგანი მონაცემებით ივლიტას აკვედუკი მიესადაგება გვიანი შეუძლებელი სამშენებლო ტექნიკას. მისი უფრო ადრეული ხანით დამათარილებელი მასალა გამოვლენილი არ არის. ისტორიული ვითარების გათვალისწინებით, აკვედუკის აშენებისა და ფუნქციონირების პერიოდი XVII-XVIII საუკუნეებით შეიძლება განისაზღვროს. ამასთან აღსანიშნავია აკვედუკის პერიოდის წყობაში ორნამენტიანი ბაზალტის ქვის აღმოჩენის ფაქტიც. ეს სავარაუდოდ ადრეული შეუძლებელი საუკუნეების ეკლესიის კარნიზის ფრაგმენტი უნდა იყოს. როგორც ჩანს, აკვედუკის მშენებლობის დროს იმსანად უკვე დანგრეული ეკლესიის ქვებიც არის ხელმეორედ გამოყენებული.

ივლიტასთან გათხრილი აკვედუკი, როგორც ჩანს მახლობლად აღმართული მთიდან გადმოდიოდა და დიდ მანძილზე გადაბმული თიხის მილებით მიემართებოდა დანიშნულების ადგილებისაკენ (რაბათისაკენ, სარწყავი ბადბოსტენებისაკენ, აბანოსაკენ და და სხვა). ეს მილები ქმნიდა ღია წყალსატარ არხს. ისინი კირსენარით იყო ერთმანეთზე გადაბმული და საკმაოდ მძლავრი, მაღალი კედლის თავზე იყო მოთავსებული. ქვით აგებული მძლავრი გრძელი კედელი ის მანიველიორებელი ნაგებობაა, რომელიც უსწორმასწორო რელიეფს ასწორებდა, მილებში წყლის დინებას შეფერხების საშუალებას არ აძლევდა და დანიშნულების პუნქტისაკენ მიმართავდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სათავე ნაგებობასაც, რომელსაც წყლის ვარდნის წნევა უნდა განეხსაზღვრა.

აკვედუკების ისტორია ძველი დროიდან იწყება. აღმოსავლეთის ქვეყნებში აკვედუკებს აშენებდნენ ძვ. წ. II ათასწლეულეულიდან, საბერძნეთში – ძვ. წ. VII საუკუნიდან. ნაწილობრივ შემონახულია რომის აკვედუკები (ძვ. წ. IV ს.), რომელთა საერთო სიგრძე შეადგენდა 436 კმ-ს, აქედან ხიდ-აკვედუკებისა – 55 კმ-ს. ცნობილია აკვედუკი “აპიუსის წყალი”, რომელიც ძვ. წ. 312 წელს გაიყვანა აპიუს კლავდიუსმა. რომაული აკვედუკების ბრწყინვალე ნიმუშებია, „პო დიუ გარი“ ნიმის მახლობლად (ძვ. წ. I ს., გალია, დღ. საფრანგეთი) და ამჟამად მოქმედი აკვედუკი სეგოვიის მახლობლად (ახ. წ. II ს., ესპანეთი). ცნობილია აგრეთვე ბურგასის აკვედუკი კონსტანტინეპოლისა (VI ს.). ათონის ივერთა მონასტრის ორსართულიანი დიამალებიანი ხიდ-აკვედუკი (ქალკედიკის ნახევარგუნდულზე, საბერძნეთში) აგებულია 980-983 წლებში, იოანე მთაწმინდელისა და ოორნიკე ერისთავის სამშენებლო მოღვაწეობის დროს.

საქართველოში ასეთი კაპიტალური და მძლავრი წყალმიმწოდებელი და გამანაწილებელი ნაგებობები ბოლო დრომდე აღმოჩენილი არ ყოფილა. ივლიტას აკვედუკი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთია, თუმცა წყალგაყვანილობის სხვაგვარი სისტემები ადრეული ხანიდან არის ცნობილი. XII საუკუნის კლდეში ნაკვეთ მონასტერს ვარძიას წყალს ფერსაოს მთიდან გამოყვანილი ერთ-ერთი არხი აწვდიდა. ვარძიაში აღმოჩენილი: წყალგამტარი ქსელი წყალგაყვანილობის დახვეწილი საინჟინრო ხელოვნების მაჩვენებელია. წყალი აქ მონასტრის ზევით, მთის სიმაღლიდან ვარდნის ძალით მოედინებოდა კლდეში გაჭრილ გვირაბში, კლდეშივე ნაკვეთ რეზერვუარსაც ავსებდა და შემდგებ თიხის მილების სენაკებისკენ

მიემართებოდა [K. მელითაური, 1963: ცტ. 7]. ყალიბში ჩამოსხმულ თიხის მიღებს კირხსნარით აბამდნენ ყელთან (წიბოსთან) და საგანგებოდ დახრიდ სიბრტყეზე მიმართავდნენ, რათა წყლის წნევა არ შეფერხებულიყო. რელიეფის მიხედვით თიხის მიღები ხან “ჩაიმალებოდა” დარში, ხან კი კლდეზე დიად გადიოდა.

ამ კონტექსტში საგანგებო ყურადღებას იმსახურებს სამცხის ძველი საირიგაციო სისტემები. სამცხეში მთის წყაროების გამოყენება არსებითად ერთადერთი საშუალება იყო ნიადაგის მორწყვისათვის. წყაროებს ზემოდან გარდნის ძალით უშეგბდნენ ქვემოთ, დაბლობისაკენ. ჰიდროტექნიკური თვალსაზრისით ამ მხარეში მორწყვას ძირითადად მთისათვის დამახასიათებელი ხასიათი აქვს – ისევე, როგორც სვანეთში, ზემო რაჭაში, ხევში. ახალციხისა და ადიგენის დაბლობ მიწებზე განვითარებულია მემინდვრეობა, მებოსტნეობა, გაშენებულია ვენახი. აქ რწყვა ხდება წყაროებიდან და წყალშემკრები რეზერვუარებიდან – ვარდნის ძალის გამოყენებით. ხეობებში, პატარა ნაკადულების შეკრების შემდეგ წყალი გაჰყავდათ რომელიმე მაღალ ადგილას, სადაც აკეთებდნენ ხელოვნურ წყალგარდნილებს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რელიეფის გასწორებასაც, გასუფთავებასაც, რისთვისაც იყენებდნენ მორწყვის სხვადასხვა ხერხებს. მაგალითად დატბორვით მიწას დიდხანს უნარჩუნებდნენ ტენიანობას [M. K. გეგეშიძე, 1990: ცტ. 95-116].

ძველ სამცხეში არხის გამოყვანა და წყლის მოვლა მთელი სოფლის მოვალეობა იყო. წყლის მოპარვა ისევე ისჯებოდა, როგორც პურის მოპარვა. სამცხეში მორწყვის ძირითად ფორმად გამოიყენებოდა მთის ნაკადულები, რუები, ხელოვნული არხები. ვარდნის ძალით წყალი მაღალი ტერასებიდან სხვადასხვა მიმართულებით ნაწილდებოდა ხელოვნურად შექმნილი რეზერვუარებში. ტერასული მეურნეობა სამცხის მოსახლეობის შრომითი საქმიანობის დამახასიათებელი ნაყოფია, რომელიც მთის მოსახლეობის მიწათმოქმედების საუკუნოვან ტრადიციებს გვიჩვენებს.

ივლიტასთან გათხრილი აკვედუკი მოწმობს, რამდენად მნიშვნელოვანი იყო წყალმომარაგება ახალციხისთვის და მიმდებარე სასოფლო დასახლებების სავარგულებისთვის. ახალციხის ციტადელი თუმცა არქეოლოგიურად არ გათხრილა, მაგრამ იქ მდგარი ნაგებობები – მეჩეთი, აბანო, სასახლე, “დარბაზები”, დუქან-ფარდულები თავად გულისხმობს წყალგაყვანილობის არსებობას.

ქალაქ ახალციხის ძველი ნაწილი მდებარეობს მდ. ფოცხოვის მარცხენა, მაღალ კლდოვან ნაპირზე. ის მოიცავს ციხესა და მის ირგვლივ განლაგებულ ე.წ. რაბათს – ვაჭართა და ხელოსანთა უბანს. ვახუშტის ცნობით „არს ახალციხე ქალაქი ფერსათის მთის ჩამოსულ კლდესა ზედა, ხოლო ქალაქი არს მოზღუდული ციხიდამ ქვითკირის სამი ზღუდით“ (ვახუშტი, გვ. 125)

ციტადელის უძველესი სამშენებლო ფენა შესაძლოა მიეკუთვნება IX-X საუკუნეებს – პერიოდს, როცა ქალაქი ყალიბდება და გამაგრებული ციხის ფარგლებში ექცევა, როგორც ციხე-ქალაქის ნაწილი (ლ. ჭილაშვილი, 1970: გვ.107) ძირითადად ციტადელი აგებულია ათაბაგ სარგის ჯაყელის დროს (XIII–XIV სს). დღემდე შემორჩენილ ყველა ძველ ნაგებობაში ჩანს რამდენიმე გადაკეთების კვალი.

1628 წელს ახალციხე საფაშოს ცენტრი გახდა. ახალციხის ფაშებს რეზიდენცია ციტადელში ჰქონდათ. ისკანდერ მუნშისა და ევლია ჩელების ცნობებით, XVII საუკუნის I ნახევარში რაბათში 15 000 კაცი, ხოლო შიდა ციხეში 6600 კაცი ცხოვრობდა. 1650-იან წლებში ქალაქი, რომელშიც სახლების უმეტესობა ხისა იყო, დიდი ხანძრის დროს მოლიანად გადაიწვა,

რის შედეგადაც ქალაქი დაბად იქცა. ამის შემდეგ მოსახლეობას 400 სახლი დღივს აუშენებია.

როგორც ვახუშტი ამბობს, ახალციხის ციტადელი (სასახლე, აბანოები და სხვა შენობები) ფერსათის მთიდან გამომდინარე ლივანისხევის წყაროს წყლით მარაგდებოდა, გასვლა კი დამრეც ხეობისაკენ უნდა ჰქონოდა მიწისქვეშა კოლექტორების მეშვეობით. ციტადელში დღემდე შემორჩენილია ადრინდელი წყალგაყვანილობის ნაშთი. მშენებლობების დროს კი აქაიქ ჩნდება თიხის მილები, სარეზერვუარო, გამწმენდი და გამანაწილებელი დერგები, წყლის გადამყვანი და სარწყავი არხის ნაშთები.

## 7.0 დასკვნები და რეკომენდაციები

სოფელ ივლიტასთან გამოვლენილი აკვედუკი, რომელიც XVII-XVIII საუკუნეებით თარიღდება, წარმოადგენს ახალციხის რაბათისა და ციტადელის წყალმომარაგების სისტემის ნაწილს. მისი ფუნქციონირება დაკავშირებული ჩანს დასახლებისა და გარნიზონის სასმელი წყლით მომარაგებასთან. საქართველოში. ასეთი კაპიტალური და მძლავრი წყალმიმწოდებელი და გამანაწილებელი ნაგებობები ბოლო დრომდე აღმოჩენილი არ ყოფილა. ივლიტას აკვედუკი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთია. ის მოწმობს, რამდენად მნიშვნელოვანი იყო წყალმომარაგება ახალციხისთვის და მიმდებარე სასოფლო დასახლებების სავარგულებისთვის. აკვედუკი გვიანი შუა საუკუნეების საინჟინრო არქიტექტურის მნიშვნელოვანი ძეგლია. მომავალში მის ტერიტორიაზე რაიმე სამშენებლო საქმიანობა დაუშვებელია. მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში გასათვალისწინებელია ძეგლის ისტორიული დირექტება.

## 8.0 ბიბლიოგრაფია

### წყაროები

1. ბერი ეგნატაშვილი – 1959, ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი: ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ს. ყაუხებიშვილის მიერ, თბ., გვ. 474.
2. “გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი” – 1941, ს. ჯიქიას გამოც., II, გვ. 7, 37, III-1958, გვ. 31, 63-64.
3. ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი – 1971, თარგმ. გ. ფუთურიძისა, თბ., გვ. 300-301.
4. განეუშტიო ბატონიშვილი – აღწერა სამეფოსა საქართველოსა (ბაგრატიონთა მეფობა, გვ. 125; აღწერა საჩინოთა ადგილებთა სამცხე-საათაბაგოსი, გვ. 656; აღწერა სამცხე-კლარჯეთისა, გვ. 691) – 1973, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგ. ს. ყაუხებიშვილის მიერ, თბილისი.
5. “ისტორიანი და აზმანი შარავანდედოანი” (თამარ მეფის ისტორიკოსი) – 1959, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგ. ს. ყაუხებიშვილის მიერ, თბ., გვ. 95-96.
6. ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ – 1969, თარგმ. გ. ფუთურიძისა, თბ., გვ. 482<sub>9</sub>, 486<sub>19</sub>, 192<sub>14</sub>, 169<sub>22</sub>, 170<sub>20,22</sub>, 273<sub>4,5</sub>.
7. კონსტანტინე პორფიროვეგები; გეორგიკა, IV, 2, გვ. 278.
8. ჟამთაადმწერელი – 1959, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგ. ს. ყაუხებიშვილის მიერ, თბ., გვ. 95-96.
9. ჟან შარდენი, მოგზაურობა საქართველოში – 1935, თარგმ. ბ. ბარნოვისა, თბ., გვ. 55.
10. სუმბატ დავითის ძე – 1955, “ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა” (არტანუჯი), ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგ. ს. ყაუხებიშვილის მიერ, თბ., გვ. 377.

### საარქივო მასალა

11. სცია, ფ. 47, ს. 75, გვ. 4<sub>2</sub>; ფ. 15, ს. 44, ფ. 38.
12. Акты, т. VII, стр. 85; т. VIII, стр. 71.
13. ЦГИАЛ – ф. 1018, оп. 2, д. 195а, л. 4; ф. 1268, оп. I, д. 25, л. 289; д. 246, л. 87-93.

### საენციდლოპედიო სტატიები

14. სტ. “ავედუკი” – 1975, ქსე, 1, თბ., გვ. 250.
15. სტ. “ახალციხე” – ავტ. გ. ზარდალიშვილი, დ. ბერძენიშვილი, პ. ზაქარიას, გ. უშგერიძე, ქსე, 2, თბ., 1977, გვ. 10. სტ. “ახალციხელები” – ავტ. შოშიაშვილი, იქვე, გვ. 100-101. სტ. “ახალციხის მაზრა” – ავტ. თორდანია, იქვე, გვ. 101. სტ. “ახალციხის რაიონი” – ავტ. გ. კაპანაძე, იქვე, გვ. 101-102. სტ. “ახალციხის საფაშო” – ავტ. გ. სვანიძე, იქვე, გვ. 102.
16. სტ. “სოფ. ივლიტა” – 1980, ქსე, 5, თბ., გვ. 95.
17. სტ. “წყალსადენი” – ავტ. ქ. ქუთათელაძე, 1987, ქსე, 11, თბ., გვ. 356-357. სტ. “წყალსატარი”, იქვე, გვ. 358.

### საგაზეთო სტატიები

18. «Обзор», 1873, № 222.
19. «Тифлисские ведомости», 1828, №22, 23; 1831, №19.

### მონოგრაფიები/სტატიები

20. აფრასიძე გ. – 1984, საქართველოს შუასაუკუნეების ქალაქები (XI-XIII სს), თბ., გვ. 53-55.
21. ბერიძე ვ. – 1955, სამცხის ხუროთმოძღვრება (XIII-XVI სს), თბილისი.
22. ბერიძე ვ. – 1970, სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბ., გვ. 3-18.
23. ბერძენიშვილი დ. – 1985, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (თორი, ჯავახეთი), თბილისი.
24. ბოჭორიძე გ. – 1992, მოზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., გვ. 165-189.
25. გაბაშვილი ვ. – საქართველოს ქალაქების ისტორიიდან, გვ. 3-18.
26. გვარამაძე ივ. – 1906, ხურსიძის გვარის ისტორია და ახალციხის აღწერა, თბ., გვ. 3-4.
27. ზაქარაია პ. – 1988, საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები, თბ., გვ. 29.
28. კაკაბაძე ს. – 1924, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები; საისტორიო მოამბე, ტ. I, თბ., გვ. 97.
29. კოურიძე დ. – 1969, ნახლებული მესხეთის ქალაქი (ახალციხის ისტორია), თბილისი.
30. ლიხიელი ვ. – 1999, სამცხის ქარმართული ქალაქები (სოსანგეთო-აწყური); ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათ მოკლე შინაარსები, თბ., გვ. 12-14.
31. ლომსაძე ვ. – 1975, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), თბ., გვ. 447-470.
32. მუსხელიშვილი დ. – უჯარმა, გვ. 70.
33. სეგანძე გ. – 1973, ქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს, თბილისი.
34. ფრონელი ალ. – დიდებული მესხეთი, ვგ. 43.
35. დამბაშვიძე იო. – 1999, მცხე ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებში (ბორჯომის ხეობის არქეოლოგიური მასალების მიხედვით); სადისეურტაციო ნაშრომი, თბილისი.
36. შოშიაშვილი ნ. – 1966, რელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, თბილისი.
37. ჩუბინიშვილი ტ. – 1963, ამირანის გორა, თბილისი.
38. ჭილაშვილი ლ. – 1970, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, გვ. 107-109.
39. ხოშბარია დ. – 1996, ქალაქი არტანუჯი და მისი სიძველები; ქურნალი “არტანუჯი”, თბ., გვ. 60-75.
40. Бакрадзе Д. – Историко-этнографический очерк Карской области, стр. 3.
41. Бакрадзе Д. – Кавказ в древних памятниках христианства, стр. 81.
42. Гамбашидзе О. С., Квижинадзе К. Д. – Работы Месхет-Джавахетской экспедиции (Мусхи); 1982, ПАИ в 1978 году, Тб., 1981, стр. 57-64. ПАИ в 1980 году, Тб., стр. 29-31.
43. Гамбашидзе О. С., Гамбашидзе И. О. – Работы Месхет-Джавахетской экспедиции в 1972-1992 годах.
44. Гегешидзе М. К. – 1990, Орошаемое земледелие в Грузии (Опыт историко-этнографического исследования), Тб., стр. 95-116.
45. Загурский Л. – Поездка в Ахалцихский уезд в 1872 году; Записки КОИРГО, кн. VIII, стр. 15, 21, 30-31, 65.
46. Квижинадзе К. Д. – 1986, Работы Цисисхевского отряда Месхет-Джавахетской экспедиции (Цисси); ПАИ в 1983 году, Тб., стр. 27-29.
47. Мелитаури К. – 1972, Крепости феодальной и раннефеодальной грузии, II, стр. 17.

48. Мелитаури К. – 1975, Вардзия, Тб., 1963, стр. 7. Его-же – Архитектура и строительство Вардзии, Тб.,  
 49. Потто В. – История военных действий на Кавказе, I, стр. 285.

მასალა	ფუნქცია	სახეობა	სეგმენტი	მახასიათებელი (ფერი, ძეგლი)	მახასიათებელი (ფორმა)	მახასიათებელი (ზედაპირის დამუშავება, შემაულობა)	რაოდ ენობა	კომენტარი	თარიღი
ქა	სამშენებლო	კარნიზი		მოშავო		კურტიკალური კანელურები, ორნატების ფრაგმენტი	1		გვიან შეასავაუ ნეკანი
კირ-ხსნარის დუღაბი	სამშენებლო	დუღაბი		დიანცირის ფერი		შიგნითულია თიხის მიღის ფრაგმენტი	1		გვიან ნი შეასავაუ ნეკანი
კერამიკა	სამშენებლო	მიღი	პედალი	აგურის ფრად გამომწვევი	მრგვალი	შიგნიდან პორიზიზებალური დარებით	1		გვიან ნი შეასავაუ ნეკანი
კერამიკა	სამშენებლო	მიღი	პედალი	ჩალისფრად გამომწვევი, სქელდები კიანი	მრგვალი	შიდაპირზე პორიზიზებალური დარები	1		გვიან ნი შეასავაუ ნეკანი
კერამიკა	სამშენებლო	მიღი	პედალი	ჩალისფრად გამომწვევი	მრგვალი	შიდაპირზე პორიზიზებალური დარები, ერთ თავთან ეტყობა ნაწიბურის კვალი	1		გვიან ნი შეასავაუ ნეკანი
კერამიკა	სამშენებლო	მიღი	პირი	ჩალისფრად გამომწვევი	მრგვალი	დაღარული	4		გვიან ნი შეასავაუ ნეკანი
კერამიკა	სამშენებლო	მიღი	პირი	აგურის ფრად გამომწვევი	მრგვალი	შიდაპირზე და ზოგან ზედაპირზე კირ-ხსნარის კვალი	3		გვიან ნი შეასავაუ ნეკანი
კერამიკა	სამშენებლო	მიღი	პირი	ჩალისფრად გამომწვევი, თხელდები კიანი	მრგვალი		6		გვიან ნი შეასავაუ ნეკანი
კერამიკა	სამშენებლო	მიღი	პირი	ჩალისფრად გამომწვევი, თხელდები კიანი	მრგვალი		2		გვიან ნი შეასავაუ ნეკანი
კერამიკა	სუფრის	ხელადის	პირი	ჩალისფრად გამომწვევი, თხელი	პირგადაშლილი		1		გვიან ნი ანტიკური?

ძეგლი IV-238, ხოფელი ივლიტა, 231-ე კმ, კომპლექსური ტექნიკური ანგარიში

				წმინდა ბერი					
კერამიკა	სამშენებ ლო	მიღი	პირი, პედილი	ნაცრის ფრად გამომწვ ვარი, სქელად ცანი	პირგადა შლილი		1		გვია ნი შუას აუქუ ნეებ ი
კერამიკა	სამშენებ ლო	მიღი	გვერდი	ჩალისფ რად გამომწვ ვარი	მრგვალი , პირი ოდნავ შესქელუ ბული		1	შიდაპირ ზე კირხესნა რის პალი	გვია ნი შუას აუქუ ნეებ ი
კერამიკა	სამშენებ ლო	მიღი	პირ- გვერდი	დია ჩალისფ რად გამომწვ ვარი	მრგვალი	დაღარული	1		გვია ნი შუას აუქუ ნეებ ი
კერამიკა	სამშენებ ლო	მიღი	პირ- გვერდი	ჩალისფ რად გამომწვ ვარი	მრგვალი		1		გვია ნი შუას აუქუ ნეებ ი
კერამიკა	სამშენებ ლო	მიღი	გვერდი	ჩალისფ რად გამომწვ ვარი	მრგვალი		1	შიდაპირ ზე კირხესნა რის პალი	გვია ნი შუას აუქუ ნეებ ი
კერამიკა	სამშენებ ლო	მიღი	გვერდი	ჩალისფ რად გამომწვ ვარი	მრგვალი		1	ზედაპირ ზე კირხესნა რის პალი	გვია ნი შუას აუქუ ნეებ ი
კერამიკა	სამშენებ ლო	მიღი	გვერდი	ჩალისფ რად გამომწვ ვარი	მრგვალი		1	ზედაპირ ზე კირხესნა რის პალი	გვია ნი შუას აუქუ ნეებ ი
კერამიკა	სამშენებ ლო	მიღი	პირი	ჩალისფ რად გამომწვ ვარი	მრგვალი	ნაწილურიანი	1	ზედაპირ ზე კირხესნა რის პალი	გვია ნი შუას აუქუ ნეებ ი
კერამიკა	სამშენებ ლო	მიღი	მიღის გვერდის ფრაგმენტი	ჩალისფ რად გამომწვ ვარი, დია ნაცრის ფერი სარჩე ლი	მრგვალი		1	ზედაპირ ზე კირხესნა რის პალი	გვია ნი შუას აუქუ ნეებ ი
კერამიკა	სამშენებ ლო	მიღი	ჭელი	ჩალისფ რად გამომწვ ვარი	მრგვალი		1		გვია ნი შუას აუქუ ნეებ ი
კერამიკა	სამშენებ ლო	მიღი	გვერდი	აგურის ფრად გამომწვ ვარი	მრგვალი		1	ზედაპირ ზე კირხესნა რის პალი	გვია ნი შუას აუქუ ნეებ ი
კერამიკა	სამშენებ ლო	მიღი	პირ- გვერდი	აგურის ფრად გამომწვ ვარი, თანაბა რი სისქის ბერი	მრგვალი	ნაწილურიანი	1	ზედაპირ ზე კირხესნა რის პალი	გვია ნი შუას აუქუ ნეებ ი


ძეგლი IV-238, ხოფელი ივლიტა, 231-ე კმ, კომპლექსური ტექნიკური ანგარიში


კერამიკა	სამშენებლო	მიღი	კედელი	ჩადისფრად გამომწვერი,	მრგვალი		1		გვიანი შეასაზღუნევბი
კერამიკა	სამშენებლო	მიღი	კედელი	ჩადისფრად გამომწვერი, თანაბარი სისქის მაცით	მრგვალი		1		გვიანი შეასაზღუნევბი
კერამიკა	სამშენებლო	მიღი	პირ-გვერდი	ჩადისფრად გამომწვერი	მრგვალი, პირთხნული შემოუყვება ბრტყელი ქვედი		1	ზედაპირ ზე კირხნარის გაღი	გვიანი შეასაზღუნევბი
კერამიკა	სამშენებლო	მიღი	პირი	ჩადისფრად გამომწვერი	მრგვალი, პირს შემოუყვება შესქლელ ბული, ჭიბური, ქვემოთ დაშვებული		1		გვიანი შეასაზღუნევბი
კერამიკა	სამშენებლო	მიღი	პირი	აგურის ფრად გამომწვერი, თხელკეციანი	მრგვალი, პირი შესქლელ ბული, შემოუყვება ქვედი		1		გვიანი შეასაზღუნევბი
კერამიკა	სამშენებლო	მიღი	გვერდი	ჩადისფრად გამომწვერი	მრგვალი	რელიეფური სარტყელი	1	ზედაპირ ზე კირხნარის გაღი	გვიანი შეასაზღუნევბი
კერამიკა	სამშენებლო	მიღი	პირ-გვერდი	აგურის ფრად გამომწვერი	მრგვალი, პირთხნული შემოუყვება ება შესქლელ ბული ქვედი		1		გვიანი შეასაზღუნევბი
კერამიკა	სამშენებლო	მიღი	პირი	ფიანსისფრად გამომწვერი	მრგვალი, პირზე შემოუყვება ება სქელდი ჭიბური		1		გვიანი შეასაზღუნევბი
კერამიკა	სამშენებლო	მიღი	პირი	ჩადისფრად გამომწვერი, თხელკეციანი	მრგვალი, შემოუყვება ება სქელდი ჭიბური		1	ზედაპირ ზე კირხნარის გაღი	გვიანი შეასაზღუნევბი
კერამიკა	სამშენებლო	მიღი	პირ-გვერდი	ჩადისფრად გამომწვერი	მრგვალი, მხრებდა ქანებული, შემოუყვება ება შეერიდი ანი ქობა		1	ზედაპირ ზე კირხნარის გაღი	გვიანი შეასაზღუნევბი
კერამიკა	სამშენებლო	მიღი	პირი	ჩადისფრად გამომწვერი	მრგვალი, ბრტყელი ქორიზო		1	ზედაპირ ზე კირხნარის გაღი	გვიანი შეასაზღუნევბი

ძეგლი IV-238, ხოფელი ივლიტა, 231-ე კმ, კომპლექსური ტექნიკური ანგარიში

					ნიღალურ ი პირი			o
კერამიკა	სამშენებ ლო	მიღი	პირ- ბეჭდი	ჩადისფ რად გამომწ ვარი	მრგვალი , გარეთ გადმია კე ცილი პირით		1	ზედაპირ ზე პირ- ხსნარის კვალი
კერამიკა	სამშენებ ლო	მიღი	პირი	ჩადისფ რად გამომწ ვარი	მრგვალი , პირზე შემთულ ება სქელი ქობა		1	გვია ნი შეას აუქუ ნებე ნი
კერამიკა	სამშენებ ლო	მიღი	პირი	ჩადისფ რად გამომწ ვარი	მრგვალი , შესქელე ბული პირით		1	გვია ნი შეას აუქუ ნებე ნი
კერამიკა	სამშენებ ლო	მიღი	პირ- ბეჭდი	ჩადისფ რად გამომწ ვარი	მრგვალი		39	გვია ნი შეას აუქუ ნებე ნი
კერამიკა	სამშენებ ლო	მიღი	მთელი	ჩადისფ რად გამომწ ვარი	მრგვალი		1	შემთხვევ ვითი მონაპოვ არი
კერამიკა	სამშენებ ლო	მიღი	კედელი	ჩადისფ რად გამომწ ვარი	მრგვალი		1	შემთხვევ ვითი მონაპოვ არი
კერამიკა	სამშენებ ლო	მიღი	კედელი	ჩადისფ რად გამომწ ვარი	მრგვალი		1	შემთხვევ ვითი მონაპოვ არი
კერამიკა	სამშენებ ლო	მიღი	კედელი	ჩადისფ რად გამომწ ვარი	მრგვალი		1	შემთხვევ ვითი მონაპოვ არი
კერამიკა	სამშენებ ლო	მიღი	კედელი	ჩადისფ რად გამომწ ვარი	მრგვალი		1	შემთხვევ ვითი მონაპოვ არი
კერამიკა	სამშენებ ლო	მიღი	კედელი	ჩადისფ რად გამომწ ვარი,	მრგვალი		1	შემთხვევ ვითი მონაპოვ არი







III

